

შპს ელიტ ფუდი

406221887

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
ძირითადი საქმიანობა	8
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
ფული და ფულის ექვივალენტები	11
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
სასაქონლო მატერიალური მარაგები	12
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
საგადასახადო ვალდებულებები	12
შემოსავალი	13
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
სხვა შემოსულობა/ზარალი	13
კაპიტალი	13
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს ელიტ ფუდი (406221887)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით (ქართულ ლარში)

	2023	2022	2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21477	29025	7571
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	532758	203601	148867
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	111288	28	28
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27649	75242	22507
სულ მიმდინარე აქტივები	693 172	307 896	178 973
სასაქონლო მატერიალური მარაგი			
მზა პროდუქცია	42778	37906	45689
ნედლეული და მასალები	392451	218774	138699
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	435 229	256 680	184 388
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2231320	1870935	493872
სხვა არამატერიალური აქტივები	2066	8263	14461
სულ გრძელვადიანი აქტივები	2233 386	1879 198	508 333
სულ აქტივები	3361 787	2443 774	871 694
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	574095	324107	103848
საგადასახადო ვალდებულებები	1485	0	18508
სულ მიმდინარე ვალდებულებები	575 580	324 107	122 356
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2112257	2039273	657065
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2112 257	2039 273	657 065


საკუთარი კაპიტალი	365000		
სააქციო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	308950	80394	92273
სულ საკუთარი კაპიტალი	673 950	80 394	92 273
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3361 787	2443 774	871 694

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ზურაბ სახელაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი



სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)


	2023	2022
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	3 967 166	2 408 557
რეალიზებული პროდუქციის	-2 334 034	-1 624 389
თვითღირებულება		
საერთო მოგება	1 633 133	784 168
საოპერაციო ხარჯები	-1 280 847	-732 709
საწარმოო ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-627 381	-461 485
მიწოდების ხარჯები	-653 465	-271 224
საოპერაციო მოგება	352 286	51 458
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი	-123 730	-63 337
განსაკუთრებული შემოსავლები	14 634	10 882
საპროცენტო შემოსავლები		
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	6 705	-3 916
საპროცენტო ხარჯები	-134 614	-56 546
საკურსო სხვაობა	9 191	8 817
კონვერსიის სხვაობა	-1 374	13 277
განსაკუთრებული ხარჯები	-18 085	-35 655
მოგების გადასახადი	-188	-196
წმინდა მოგება (ზარალი)	228 556	-11 879

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ზურაბ სახელაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი



ფულადი ნაკადების ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)


	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	29 025	7 571
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(733 133)	(1328 349)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	645 000	(63 512)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	82 956	1399 691
სავალუტო კურსის ეფექტი	(2 371)	13 624
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	21 477	29 025

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ზურაბ სახელაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი



შპს ელიტ ფუდი (406221887)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)


	საწესდებო კაპიტალი	გადაფასები ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	0		92273	1997 690
წმინდა მოგება	-	-	-	-
სხვა სრული	-	-	-	-
შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	0	-	(10 879)	(2 918)
2022 წლის 31 დეკემბერი	0	-	80394	1994 772
წმინდა მოგება	-	-	228556	824 787
სხვა სრული	-	-	-	-
შემოსავალი	-	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	365000	-	-	(638 000)
2023 წლის 31 დეკემბერი	365000		308950	673950

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი ზურაბ სახელაშვილი

თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

ძირითადი საქმიანობა

შპს ელიტ ფუდი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2017 წლის 01 სექტემბერს.

კომპანიის ერთპიროვნული 100%-ის მფლობელია ზურაბ სახელაშვილი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცის, ყველისა და სხვა კვების პროდუქტების ნახევარფაბრიკატების წარმოება და რეალიზაცია საბითუმო ფასებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2021, 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს და 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, 2022 და 2023 წლების ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2023 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2022 წელი კომპანიისთვის იყო წამგებიანი. 2023 წლისთვის კომპანიამ შეიძინა ახალი საწარმოო დანადგარები საგრძნობლად გაზარდა რეალიზაციის მოცულობა და შედეგი იყო

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით. წინასწარ მიღებული ავანსები განიხილება, როგორც გამოუმუშავებელი შემოსავალი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომლიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებელს და სხვა პირდაპირ მიკუთვნებულ გადასახადებს. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული.

აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	10-15 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ავტო სანტრასპორტო საშუალებები	5-10 წელი
კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები	3-5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც აქტივი ჩამოიწერება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ძირითად და ღირებულ ნაწილს შეადგენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, რომელიც ქვიშის თვითღირებულებაზე ჩამოიწერება მოპოვებული წიაღისეულის რაოდენობის პროპორციულად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანიას ამას გარდა აქვს პოლიტიკა ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების შეფასებისა, რის მიხედვითაც გამოანგარიშებული თანხები ექვემდებარება საეჭვო მოთხოვნების რეზერვებში აღრიცხვას, კერძოდ 360 დღემდე ვადაგადაცილებული თანხები ექვემდებარება 100 % - ით დარეზერვებას.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023წ	31 დეკემბერი 2022წ
ნაღდი ფული სალაროში	568	3161
ფული საბანკო	20909	25864
ანგარიშებზე		
ფული და ფულის ეკვივალენტები	21477	29025

კომპანიაში მინიმუმამდეა დაყვანილი ნაღდი ფულის მოძრაობა და ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას საბანკო ანგარიშები აქვს არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	532758	203601
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	111288	28
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27649	75242
სულ	671695	278871

სავაჭრო მოთხოვნები გაზრდილია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გასულ წელთან შედარებით რეალიზაციის მოცულობისა და მომავალი შესყიდვებისათვის გაცემული ავანსების გაზრდის ხარჯზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
IAAEAOEE AA IOAEAAE	392451	218774
მზა პროდუქცია	42778	37906
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	435229	256680

კომპანია აწარმოებს სხვადასხვა ასორტიმენტის ნახევარფაბრიკატებს გაყინული სახით, არის ISO სერტიფიკატის მფლობელი და დისტრიბუციის მეთოდით ახდენს რეალიზაციას სასურსათო მაღაზიებში. მუდმივად იმარაგებს ნედლეულს წარმოებაში გამოსაყენებლად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
სავაჭრო ვალდებულებები	574095	324107
სულ მიმდინარე ვალდებულებები	574095	324107

მოწოდებისა და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები სტაბილურია, მიუხედავად ბრუნვის დიდი მოცულობისა, რაც მიუთითებს კომპანიის გადახდისუნარიანობაზე.

საგადასახადო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023წ.	31 დეკემბერი 2022წ.
საგადასახადო ვალდებულებები	1485	0

საბიუჯეტო გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგენს დარიცხულ და შემდგომ პერიოდში გადასახდელ საბიუჯეტო გადასახადებს.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად შედგება ნახევარფაბრიკატების რეალიზაციიდან. რეალიზაციის მოცულობა საგრძნობლად იზრდება ყოველწლიურად.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

წარმოებული ნახევარფაბრიკატების ღირებულება მოიცავს:

- ა) ძირითადი შემადგენელი ნედლეულისა და ტარა-შესაფუთი მასალების დანახარჯებს;
- ბ) წარმოებაში დაკავებულ თანამშრომელზე გაცემულ ხელფასებს;
- გ) შეძენილი მასალების ტრანსპორტირების ხარჯებს;
- დ) ნედლეულისა და მასალების დანახარჯებს საწარმოო დანადგარების რემონტზე;
- ე) ლაბორატორიის ხარჯებს;
- ვ) კომუნალურ გადასახადებს;

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს გაცემულ შრომით ანაზღაურებას და საპენსიო შენატანებს, კომუნიკაციის, ოფისის მომსახურებისა და დაცვის უზრუნველყოფის ხარჯებს. მიწოდების ხარჯები მოიცავს მანქანების ექსპლუატაციისა და საწვავის შეძენის ღირებულებას, აგრეთვე დისტრიბუტორების ხელფასებს და სარეკლამოდ გადახდილ თანხებს.

სხვა შემოსულობა/ზარალი

2023 საანგარიშგებო წელს კომპანია იყო მომგებიანი და მნიშვნელოვნად იქნა დაფარული გრძელვადიანი სასესო ვალდებულება.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საკუთარი კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით



თბილისი, საქართველო

01 აპრილი 2024 წელი

A circular stamp containing a handwritten signature in black ink. The signature is stylized, with a large 'L' and a 'P' that are connected.